

1990 / 2



ISSN 0203-2023

კოლმედიკა
ქველა
ქვეყნისა,
შეერთებით!



საქართველოს

საბჭოთა

სოციალისტური

რესპუბლიკის

№ 3

1990

უზენაესი საბჭოს

უფლებები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამომცემი



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები



№ 3 (596)

ბაკვი

1990 წელი

უიწახარსი

ბანაძოვილება პირველი

47. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის რ. ს. მიმინაშვილის შესახებ.
48. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების საფუძვლიანობის შემსწავლელი კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.
49. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
50. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 17 ნოემბრის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
51. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული
დადგენილება

(საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რეკაგარეშე XIII სესია)

52. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ.

**საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული
დადგენილება და კანონი**

(საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე XIV სესია)

53. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანის შესახებ.
54. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ.

ბანჟოფილება მცორი

55. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
56. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
57. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
58. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
59. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. ს. ბრეგაძისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
60. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. ვ. დავითაისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
61. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ვ. ზოლოტოვასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
62. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ბ. ა. თოიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
63. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რ. ტ. თორდიასათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
64. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რ. ა. თხელიძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
65. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თ. ბ. მესხისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
66. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. ბ. ქაშაკაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

83. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ბ. დ. ჩახვაშვილი-სათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
84. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. გ. ჯალიაშვილი-სათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
85. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლ. ნ. ჯიბლაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
86. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. შ. მეტრეველის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დიპლომების შესახებ.

განყოფილება მისამი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომები.

ბანუოფილება პირველი

საპარტველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

47 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის რ. ს. მიმინოშვილის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად რომან სევერიანის ძე მიმინოშვილი გათავისუფლდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის მოვალეობისაგან აბაშის რაიონის № 221 აბაშის საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 მარტი.

№ 2543—XI

საპარტველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

48 მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების საფუძველზე ნობის შემსწავლელი კომისიის შემადგენლობაში უკვირთი ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს ზოგიერთი ცვლილება „მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების საფუძველიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 20 იანვრის დადგენილებაში და კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ:

კოკი იაკიმის ძე ბაქრაძე — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ვლადიმერ ივანეს ძე გვარჯალაძე — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ თავმჯდომარე.

ილია ივლიანეს ძე თოდუა — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პერსონალური პენსიონერი.



ომარ რევასი ძე კილასონია — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

თეხგოზ იოსების ძე ხელაშვილი — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სიფხიზლისათვის ბრძოლის საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ჯონდო ლევანის ძე ჯავახიშვილი — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკური საწარმო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქი-მისი“ თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლებულ იქნენ:

გურამ ალექსანდრეს ძე აბაშიძე — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე.

იური ნიკოლოზის ძე ჯაბიაჩიანი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში.

ედუარდ ივანეს ძე კანდელაკი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმი) დირექტორი.

შოთა გიორგის ძე ნიშნიაძე — პოეტი, ჟურნალ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი.

ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავა — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 მარტი.

№ 2544—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

49 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის უხსანგზ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეცამეტე სესია 1990 წლის 9 მარტს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 8 მარტი.

№ 2545—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

50 „მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლე-
ლი კომისიის შემგნის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი
საბჭოს 1989 წლის 17 ნოემბრის დადგენილებაში ცვლილებაების შე-
ტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის
შემადგენლობაში დამატებით შეყვანილ იქნენ:
ოთარ გალაქტიონის ძე აგლაძე — ადვოკატი.
რუსუდან ილიას ასული თალაკვაძე — ადვოკატი.
ეკატერინე ისიდორეს ასული ხარატიშვილი — პენსიონერი.
გულნარა ილიას ასული ჭიმშიერიძე — ადვოკატი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ზუმბარძია.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 მარტი.

№ 2547—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

51 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთოთხმეტე სესია 1990
წლის 20 მარტს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ზუმბარძია.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 მარტი.

№ 2556—XI

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება

(საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე
 XIII სესია)

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

52 საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტი- ბის შესახებ

მხარს უჭერს რა სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს, დემოკრატიის კურსის შემდგომ გაღრმავებას, რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოებისაკენ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანურ იდეალებზე დამყარებული საზოგადოების შექმნას, ამავდროს, განიხილა რა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ:

— სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა (ძირითადი კანონების) შესაბამისი მუხლების თანახმად მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან. მაშასადამე, პრეზიდენტის მმართველობის პირობებში საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს. სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის არსებობა, მაშინ როცა არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის პოსტი, საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობის უარყოფაა;

— კანონპროექტის 127¹-ე მუხლით დაშვებულია სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევა იმ შემთხვევაშიც, თუ მისი კანდიდატურა უარყოფილია ხმათა უმრავლესობით მოკავშირე რესპუბლიკების უმცირესობის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტი და, მაშასადამე, საქართველოს, როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოს პრეზიდენტიც, შეიძლება გახდეს საქართველოსათვის მიუღებელი პირი;

— სსრ კავშირის პრეზიდენტი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რადგანაც ამ მოვალეობას უნდა ასრულებდეს შესაბამისი სუვერენული სახელმწიფოს — მოკავშირე რესპუბლიკის მეთაური;

— ის ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, არ უნდა ზღუდადდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლებას, რაც ერთნიშნად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული კანონის ტექსტში. მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ

თვით რესპუბლიკა. სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილებაში პრინციპების რეალიზაცია მოკავშირე რესპუბლიკის — სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში არის მხოლოდ ამ მოკავშირე რესპუბლიკის უფლება. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკის ურთიერთობას კავშირთან, სსრ კავშირის პრეზიდენტი უნდა იყოს გარანტი მხოლოდ და მხოლოდ იმისა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებები არ იქნება ხელყოფილი კავშირის მხრიდან;

— ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან, მათი ურთიერთობების რეგულირების კონტროლი შეიძლება დაეკისროს ისეთ ორგანოს, რომელიც შედგება ამ რესპუბლიკების, როგორც სახელმწიფოების, წარმომადგენლებისაგან. რესპუბლიკის ეს უფლება არ შეიძლება შეცვალოს ამ რესპუბლიკის ამომრჩეველთა კორპუსის უფლებამ, ისევე, როგორც სამოკავშირეო ხელშეკრულება, როგორც ამ რესპუბლიკათა შორის უფლებათა რეგულატორი, არ შეიძლება შეცვალოს კონსტიტუციამ, რომელსაც იღებენ სახალხო დეპუტატები;

— პრეზიდენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს არ შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული ძალა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე;

მიუღებელია კანონპროექტის 127^ა-ე მუხლის მე-16 პუნქტი, რომელიც ანიჭებს სსრ კავშირის პრეზიდენტს არა მარტო სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, არამედ ერთპიროვნული — საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების უფლებასაც, რაც შესაძლებელია ინტერპრეტირებულ იქნეს, როგორც პრეზიდენტის უფლება — დაითხოვოს მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები და მოახდინოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის სრული ლიკვიდაცია.

არ ეხება რა პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატთა პოლიტიკურ პოზიციას და პიროვნულ თვისებებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო წარმოდგენილ კანონპროექტს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების შესახებ მიიჩნევს მიუღებლად, ხოლო საქართველოს დეპუტატთა მონაწილეობას ამ კანონპროექტის მიღებაში დაუშვებლად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნას და აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით — ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ როგორც საერთაშორისო დანაშაულს და ესწრაფვის საქართველოსათვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას.



საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ.

დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. გუშპარიძე**.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **პ. კაპარცხელია**.

თბილისი, 1990 წლის 9 მარტი.

№ 214—XI ს.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება და კანონი

(საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე XIV სესია)

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

53 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეკლარატია და სახალხო დეკლარატია აღნიშნული საბჭოების დეკლარაციების არჩევნების გადატანის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და მის პრეზიდიუმში შემოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების, დეპუტატობის კანდიდატების, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების წინადადებები 1990 წლის 25 მარტს დანიშნული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ამავე წლის 17 ივნისს დანიშნული ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

წერილებსა და მომართვებში გამოთქმულია აზრი არჩევნების აღნიშნულ ვადებში ჩატარების მიზანშეუწონლობის შესახებ. წარმოდგენილი მოსაზრებები დასაბუთებულია მრავალპარტიულობის შემოღების მოტივით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები გადატანილ იქნეს 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

შესაბამისად გაგრძელდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს XI მოწვევისა და ადგილობრივი საბჭოების მეოცე მოწვევის დეპუტატთა არჩევნების ვადა.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშაოს და წარმოადგინოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე წინადადებები რესპუბლიკის კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარაძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 მარტი.

№ 216—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

54 საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლი- ლებების შეტანის შესახებ

რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური გარდაქმნების გაღრმავების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-6, მე-7 და 49-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. საქართველოს კომუნისტური პარტია, სხვა პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე პროფკავშირული, ახალგაზრდული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა ფორმებით თანაბარ საფუძვლებზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში.

მუხლი 7. ყველა პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მასობრივი მოძრაობა, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში.

დაუშვებელია ისეთი პარტიების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილებისა და მთლიანობის ძალადური შეცვლა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება“.

„მუხლი 49. საქართველოს სსრ მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, მონაწილეობ-

ნენ მასობრივ მოძრაობებში, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური აქტიურობისა და თვითმოქმედების განვითარებას, მათი შრავალგვარი ინტერესების დაკმაყოფილებას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარნიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 მარტი.

№ 215—XI ს.

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

55 „საქართველოს სსრ სახალხო მასშავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მასშავლებლის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ: თამარ ვარლამის ასულ ბურჯანაძეს — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

დავით ზაქარიას ძე გონდაურს — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარნიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2539—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

56 „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება

მეინიჭოთ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშაკებს:

ბაადურ ალექსანდრეს ძე ბეგალიშვილს — მსახიობს.

იური კარლოს ძე ვასაძეს — მსახიობს.

ზურაბ ვლადიმერის ძე კახიანს — მსახიობს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარაძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2538—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

57 „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

გიორგი გიორგის ძე ადღეიშვილს — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

იოსებ ადამის ძე ანდრიაშვილს — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს.

ელენე აკაკის ასულ ბაბუნაშვილს — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

არჩილ იოსების ძე ბეთანელს — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

რევაზ კონსტანტინეს ძე გრძელიძეს — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

მარიამ დიმიტრის ასულ თაბორიძეს — თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის პროფესორს.

ნოდარ მეთოდეს ძე კაკაბაძეს — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ნოდარ პროკლეს ძე კეკელიძეს — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს, პროფესორს.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კუჭუხიძეს — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

მამია იოსების ძე ლაღანიძეს — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუშბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2540—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

58 „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საკვალიფიკაციო წოდების მინიჭების შესახებ

ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ხელოვანთა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში წვლილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მუშაკებს:

ავთანდილ ევგენის ძე განუგრაფას — მთავარ ლოტბარს.

ვარლამ ნიკოლოზის ძე ნიკოლაძეს — მთავარ რეჟისორს.

რიევა ალექსანდრეს ძე წულუკიძეს — მთავარ ბალეტმეისტერს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუშბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2537—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

59 ვ. ს. ბრეზაძისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსა- ხურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსს ვაჟა სავლეს ძე ბრეჯაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუშბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2530—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

60 3. ვ. დავითიასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამ-
სახურებელი მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში წვლილისათვის საქარ-
თველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის კათედრის
პროფესორს ვახტანგ ვლადიმერის ძე დავითიას მიენიჭოს „საქართველოს
სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2531—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

61 ნ. ვ. ჯოლოტოვასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შე-
სახებ

ქართული საბალეტო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის მოსკო-
ვის ქორეოგრაფიული აკადემიური სასწავლებლის კლასიკური ცეკვის მასწავ-
ლებელს ნატალია ვიქტორის ასულ ჯოლოტოვას მიენიჭოს „საქართველოს სსრ
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2534—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

62 ბ. ა. თომიძისათვის „საქართველოს სსრ ხანაღორბების
საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ეროვნული ხალხური შემოქმედების განვითარება-პოპულარი-
ზაციაში თვალსაჩინო წვლილისათვის საქართველოს ხალხური სიმღერისა და

ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლ „რუსთავის“ ლოტბარაშვილის
 რი ამირანის ძე თოიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“
 საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2529—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

63 რ. თ. თორდიასათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვ-
 რის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისა-
 თვის რადიშ ტერენტის ძე თორდიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალ-
 ხო მხატვრის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2535—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

64 რ. ა. თხელიძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის
 დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახ-
 ბზე

მეტალურგიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის
 რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარ ინჟინერს რევაზ ანტონის ძე თხე-
 ლიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“
 საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2541—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

65 თ. ზ. მესხისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“
საკვატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის რუსთავეის სახელმწიფო დრამატული თეატრის დამდგმელ რეჟისორს თამაზ ბენიამინს ძე მესხს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საკვატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუშხარიაძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2532—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

66 ბ. ზ. ჭაუაყაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საკვატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეტალურგიული მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი და ეფექტიანი საგამომგონებლო მუშაობისათვის რუსთავეის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს გურამ ბენედიქტეს ძე ჭაუაყაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საკვატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუშხარიაძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2536—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

67 ა. ბ. სორავასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საკვატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფოლკლორისტიკის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ფოთის № 1 სამუსიკო სკოლის დირექტორს, სამუსიკო და ქორეოგრაფიული საზოგადოების ფოთის საქალაქო გამგეობის თავმჯდომარეს

მკდომარეს არჩილ გრიგოლის ძე ხორავას მიენიჭოს „საქართველოს სსრ-ის საპატრიარქოს მღვდელთა კონსტანტინე პეტროვიჩის და მსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.
 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 მარტი.

№ 2533—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

68 ბ. ბ. გულბანის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა-
 ცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების უა-
 ნახეზ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში გამოჩენილი გამბედაობის, საზრია-
 ნობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს
 პრეზიდიუმის სახელით ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა
 საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამ-
 ძებროს განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი გურამ ბაგრატიის
 ძე გულბანი დაჯილდოვდეს მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად
 წარჩინებული სამსახურისათვის“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.
 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 19 მარტი.

№ 2553—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

69 „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მი-
 ნიჭების უახეზ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი
 წვლილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება
 მიენიჭოთ:

ვალერიან რომანოვის ძე გვენცაძეს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახე-
 ლობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ქეთევან ვარლამის ასულ კოლხიდეღს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ვაჟა ვარლამის ძე კუბლაშვილს — ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.

გიორგი ემელიანეს ძე ლომთაძეს — ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.

ვერა კონსტანტინეს ასულ საღარაძეს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ერეშია ვლადიმერის ძე სვანაძეს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ეთერ იაკობის ასულ სიხარულიძეს — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

აკაკი ერისტოს ძე ყურაშვილს — ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ანზორ მელიტონის ძე ხერხაძეს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ია აკაკის ასულ ხობუას — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ანატოლი ალექსის ძე ქურდულიას — ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარჩიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2572—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

70 „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და ახალგაზრდა მუსიკოსთა აღზრდის საქმეში წვლილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის სასწავლებლების პედაგოგებს:

ესმა ზაქარიას ასულ ახალგაციშვილს — თბილისის საესტრადო და საცირო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის პედაგოგს.

იაკობ ვარდოს ძე ახუაშვილს — თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის მასწავლებელს.



ტარიელ პანტელეიმონის ძე ბერაძეს — თბილისის მე-10 სამუსიკო სკოლის დირექტორს.

ეთერ ნიკოლოზის ასულ კეჭაღმაძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2569—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

71 „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

მურმან ეპიფანეს ძე ფურცხვანიძეს — ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორს.

თენგიზ ოთარის ძე ჭუმბურიძეს — ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირიჟორს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2573—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

72 „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებს:

ალა ოლეგის ასულ აბესაძეს — ბალეტის სოლისტს.

თამაზ რემის ძე ვაშაკიძეს — ბალეტის სოლისტს.

ლუდმილა ნიკოლოზის ასულ გაგანინას — ბალეტის სოლისტს.
 ჯონი ეფრემის ძე ცხვედიანს — ბალეტის სოლისტს.
 ლარისა სერგოს ასულ ჩხიკვიშვილს — ბალეტის სოლისტს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.
 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2570—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

73 „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ანეტა გიორგის ასულ ბასიშვილს — მხატვარს.

მანანა კალისტრატეს ასულ ბობოხიძეს — მხატვარს.

უშანგი მიხეილის ძე იმერლიშვილს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დამდგმელ მხატვარს.

ლამარა ზაქარიას ასულ ქურდიანს — მხატვარს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2574—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

74 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებს:

ლუდმილა ათანასეს ასულ აკიმოვას — სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოს სამკერვალო საამქროს უფროს მხატვარს.



უორუიკ ილიის ძე ბარდაველიძეს — სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოს
გამომკრელს.

სერგო გაბრიელის ძე ბერაძეს — სასცენო ფეხსაცმლის ოსტატს.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კაცელაშვილს — სცენის მემანქანეს.

თენგიზ ნიკოლოზის ძე ხუროშვილს — სასცენო ფეხსაცმლის მოდელიორ-
გამომკრელს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2571—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

75 პ. ს. ბაკურაძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამ-
სახურებელი მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საგზაო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის
ამბროლაურის რაიონის საგზაო სამმართველოს უფროსს პავლე სილოვანის ძე
ბაკურაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუ-
შაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2565—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

76 ბ. ა. გაბუნიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული
არქიტექტორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ინსტი-
ტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ განყოფილების უფროსს ბელა ანდროს

ასულ გაბუნიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2566—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

77 ს. ს. გურგენიძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კვების მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს სახელმწიფო ინსპექტორს სპარტაკ სიმონის ძე გურგენიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2568—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

78 ზ. ი. ლაზიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ბათუმის ი. კობალაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორს ზაურ იუსუფის ძე ლაზიშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2562—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

79 რ. პ. მანჯავიძისათვის „საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში წვლილისა და მაღალკვალიფიციური სპორტსმენების აღზრდისათვის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გამოყენებითი სახეობების განყოფილების გამგეს რევაზ პაველს ძე მანჯავიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუშბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2259—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

80 მ. ნ. მელიქიშვილისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში წვლილისათვის საქართველოს ი. გ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკონსულტაციო პოლიკლინიკის ექიმს მარიამ ნიკოლოზის ასულ მელიქიშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუშბარძია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2564ა—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

81 ს. ი. ფხაკაძისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეან-გინეკოლოგს სიმონ ივანეს ძე ფხაკაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2560—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

82 ვ. ი. შარჩავასათვის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კათედრის პროფესორს ვლადიმერ ივანეს ძე შარჩავას მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2561—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

83 ზ. დ. ჩახვაშვილისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სამკურნალო კვების სექტორის გამგეს ბორის დავითის ძე ჩახვაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარძია.
 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2567—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

84 ვ. ვ. ჯალიაშვილისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჰიდრომინერალური რესურსების გამოვლენის, შესწავლისა და გამოყენების საქმეში წვლილისათვის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჰიდრომინერალური რესურსების შემსწავლელი დარგის ხელმძღვანელ ვასილ გრიგოლის ძე ჯალიაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარძია.
 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2564—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

85 ლ. ნ. ჯიბლაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტიისტი“ საპატიო წოდების ვინიჭების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს ლეიზა ნიკოლოზის ასულ ჯიბლაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული არტიისტი“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუშბარძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 მარტი.

№ 2563—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

86 ვ. შ. მებრეველის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში გამოჩენილი მამაცობის, საზრიანობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრანსპორტზე შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ვაჟა შოთას ძე მებრეველი დაჯილდოვდეს მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის.“

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუშბარძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 30 მარტი.

№ 2580—XI

განყოფილება მისამე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები

1990 წლის 9 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ განიხილა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეცამეტე სესიის დღის წესრიგში შესატანი საკითხი — საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ. ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. გუმბარიძე.

* * *

20 მარტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხმეტე სესიის დღის წესრიგში შესატანი საკითხები: საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანის შესახებ; საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე. ორივე საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომები

9 მარტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეცამეტე სესია. სესიამ განიხილა საკითხი საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გ. გუმბარიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ დეპუტატები: გ. შ. ციციშვილი, ჯ. ა. ჩარკვიანი, ვ. ა. შარაშენიძე, ა. ბ. ბურჯანაძე, დ. ა. ხახუტაიშვილი, გ. დ. ლორთქიფანიძე.

სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“.

ამით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა.

* * *

20 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხმეტე სესია.

სესიამ განიხილა საკითხები:

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანის შესახებ.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე.

ორივე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გ. გუმბარიძემ.

სესიამ დაადგინა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები გადატანილ იქნეს 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

სესიამ მიიღო საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა.